საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 1258-03
26/08/2022

,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022–2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ“ N1082-03, 22/07/2022 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 26 აგვისტოს N12219-35, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის 2022 წლის 26 აგვისტოს N12207-35 და ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტის 2022 წლის 26 აგვისტოს N12221-35 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შევიდეს ცვლილება ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022–2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, სწავლის გაგრძელების მსურველთა რეგისტრაციის ვადების, საუნივერსიტეტო გამოცდების თარიღებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ“ N 1082-03 22/07/2022 ბრძანებაში, კერძოდ,

   ა) შევიდეს ცვლილება ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრულ განაცხადების მიღების ვადაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის, ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტისა და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტისათვის და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
   ,,2. 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველმა მაგისტრანტობის კანდიდატებმა ელექტრონული რეგისტრაცია უნდა გაიარონ რეგისტრაციის ბაზის საშუალებით, შემდეგ ბმულზე: https://argus.iliauni.edu.ge/ka/registration/masters:
   ა) სამართლის სკოლა - 2022 წლის 15 აგვისტოდან 26 აგვისტოს 23:59 საათის ჩათვლით;
   ბ) ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი - 2022 წლის 15 აგვისტოდან 29 აგვისტოს 15:00 საათამდე;
   გ) მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - 2022 წლის 15 აგვისტოდან 29 აგვისტოს 15:00 საათამდე;
   დ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი - 2022 წლის 15 აგვისტოდან 29 აგვისტოს 15:00 საათამდე;“

   ბ) შევიდეს ცვლილება ბრძანების მესამე პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:
   ,,3.დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, გამოსცეს ბრძანება სამაგისტრო პროგრამაზე: “ცოცხალი თეატრის ხელოვნება: დადგმა და თამაში“ სწავლის გაგრძელების მსურველთა, ამ ბრძანებისგან განსხვავებულ ვადებში საუნივერსიტეტო

გამოცდების თარიღების, წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და სხვა პირობების დამტკიცების შესახებ."

2. ფაკულტეტებს დაევალოთ ამ ბრძანების მიხედვით შეიტანონ შესაბამისი ცვლილება ფაკულტეტის დეკანების მიერ გამოცემულ შიდა აქტებში.
3. ფაკულტეტებს/სკოლას და უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოთ ამ ბრძანების გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის გაცნობა დაინტერესებულ პირთათვის;
4. არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი"-ს საშუალებით;
5. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები ფაკულტეტებს/სკოლას, რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის სამდივნოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, უნივერსიტეტის კანცელარიას, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს, განვითარების სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, ბიბლიოთეკას, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, მატერიალური რესურსების სამსახურს და ყველა დამხმარე ადმინისტრაციულ სტრუქტურულ ერთეულს.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი